განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

,,სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებების კოდექსი“ აწესრიგებს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით აღიარებულ ბავშვის უფლებების დაცვის, ბავშვის მხარდაჭერისა და უარყოფითი ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის საკითხებს. ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებაში გათვალისწინებულია კერძო პირების მონაწილეობა, რაც ექვემდებარება შესაბამისი ლიცენზიის მოპოვებას.

საქართველოს კანონი ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი“ ამკვიდრებს მიდგომას, რომლის თანახმადაც ბავშვის მხარდაჭერის განმახორციელებელი ორგანოები იქმნება სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ან ფუნქციონირებენ ბავშვის დახმარების სფეროში მომუშავე კერძო სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფორმით. სახელმწიფო და მუნიციპალიტეტები ბავშვის მხარდაჭერის დაწესებულებებს ქმნიან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით ან ახდენენ ბავშვის მხარდაჭერის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების განმახორციელებელი კერძო პირების გამოვლენას კონკურსის წესით. ბავშვის კოდექსი ითხოვს, რომ სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტების მიერ ბავშვის მხარდაჭერის პოლიტიკის განსაზღვრისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელებას ბავშვის მხარდაჭერის კერძო დაწესებულებების კონკურსის წესით შერჩევის საფუძველზე. ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება კომპეტენციათა განაწილების თვალსაზრისით ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს, რაც გულისხმობს სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის არ ხორციელდება ბავშვის მხარდაჭერის კერძო დაწესებულებების მიერ ან მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში.

ბავშვის კოდექსის მიერ ბავშვის მხარდაჭერის სფეროში კერძო დაწესებულებების ჩართულობის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრის გვერდით ადგენს იმ კერძო

დაწესებულების საქმიანობის, რომლის მიზანია აღნიშნული კოდექსით განსაზღვრული ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება დაექვემდებაროს საქართველოს კანონის ,,სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საფუძველზე გაცემული ბავშვის მხარდაჭერის სფეროში საქმიანობის ლიცენზიის მოპოვებას, რამაც უნდა უზრუნველყოს ღონისძების განხორციელებისათვის საჭირო სტანდარტების უზრუნველყოფა.

ბავშვის კოდექსში ასახულმა ამ მოწესრიგებამ აუცილებელი გახადა ,,სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ბავშვის უფლებების კოდექსში ასახულმა ამ მოწესრიგებამ აუცილებელი გახადა ,,სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

,,სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებების კოდექსის“ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, კანონის მე-2 მუხლის ,,ბ“ პუნქტი, რომელიც განმარტავს სააღმზრდელო საქმიანობას, ყალიბდება ახალი რედაქციით, რის შედეგედაც ზუსტდება, რომ გარდა არსებულისა, სააღმზრდელო საქმიანობა მოიცავს ასევე საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მოწესრიგებული ბავშვის მხარდაჭერის სფეროში საქმიანობას.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

აღნიშნული კანონი უნდა ამოქმედდეს „ბავშვის უფლებათა კოდექსთან“ ერთად, შესაბამისად ამოქმედდება 2020 წლის 1 ივნისიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის ინიციატორი არ ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

სახელმწიფო ბიუჯეტი

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რადგან წარმოდგენილი კანონპროექტით არ წესედება ახალი ლიზენციების სახეები და ფორმები, ასევე არ ფართოვდება იმ პირთა წრე, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო ლიცენზირებას სააღმზრდელო საქმიანობის სფეროში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი კანონპროექტით არ იცვლება ფინანსური შედეგები სააღმზრდელო საქამინობის ლიცენზირების მიმღები სუბიექტებისთვის.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა დაცვის ფონდის (უნისეფის) საქართველოს წარმომადგენლობა. ევროპის საბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი - სოფო კილაძე,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - პაატა ტურავა.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: სოფო კილაძე, ანრი ოხანაშვილი, კარლო კოპალიანი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ლევან ბეჟანიძე, კობა ლურსმანაშვილი, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, მერაბ ქვარაია, ირაკლი მეზურნიშვილი, გიორგი კახიანი, ცოტნე ზურაბიანი, აკაკი ზოიძე, დიმიტრი მხეიძე, გოგა გულორდავა, გურამ მაჭარაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, მახირ დარზიევი, მირიან წიკლაური, მამუკა მდინარაძე.